



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 43

ქ.ბათუმი

11/05/2018

43-06-4-201805111007



გურანდა დოლიძის ქ. თბილისში მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე და 66-ე მუხლების და ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის 2018 წლის 08 მაისის №137/06 მომართვისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის გურანდა დოლიძის 2018 წლის 10 მაისის №108-06 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. **გურანდა დოლიძე** - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე მივლინებული იქნეს ქალაქ თბილისში, „პირველ ეროვნულ კონფერენციაზე - გენდერული თანასწორობა ადგილობრივ თვითმმართველობებში - გამოწვევები და შესაძლებლობები“ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად სამი დღის ვადით, **2018 წლის 14 მაისიდან 2018 წლის 16 მაისის ჩათვლით.**
2. ბრძანების შესრულება დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს საკრებულოს მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე